**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი  ს ა ბ ჭ ო**

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/08

**ქ. ბათუმი** **28 თებერვალი, 2023 წელი**

**ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული 2 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის №01-10/77 ბრძანების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 22 თებერვლის №MES 9 23 0000208856 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 თებერვლის სხდომის №07-02/02 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიეცეს თანხმობა ბსუ-ს №4 კორპუსში (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12), ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობის (სასწავლო კორპუსი) სახურავზე არსებული ფართის - 2 კვ.მ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონის წესით, 3 (სამი) წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემაზე, მობილური კავშირგაბმულობის გადამცემი ანტენის განთავსების მიზნით.
2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის

დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,**

**პროფესორი** **ჯემალ კარალიძე**